2021

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

შეჯამება

2021 წლის სტატისტიკური ანგარიში მიმოიხილავს პანდემიის პირობებში ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას და მისი უარყოფითი ეფექტების შემცირების მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს. 2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება.

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2021 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +21.7%) და ხელი შეუწყო 289 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაოდან.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,881,281 შეადგინა - აღდგენა 2019 წლის მაჩვენებლთან 20,1%. წინა წლის მონაცემების მიხედვით აღსანიშნავია პოზიტიური ზრდა (+7.7). შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 1.24 მილიარდი დოლარი (ზრდა +129.8%) აღდგენა 2019 წლის მაჩვენებელთან 38.1%. წინასწარი მონაცემებით მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.38 მილიარდ ლარამდე შეადგინა, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +32.3%). შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 5.9%-დან 6.4%-მდე გაიზარდა

STR გლობალის თანახმად, 2021 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 45.7% იყო, ზრდამ წინა წელთან შედარებით +106.8% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა ივლისის თვეში 73.1%, აგვისტოსა 65% და ივნისში 58.4% დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი იანვარში 16.1%, თებერვალსა 18.8% და მარტში 23.9%.

მიუხედავად კოვიდ პანდემიის გავლენისა, საავიაციო ბაზარი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად დატვირთული იყო. 2021 წელს საქართველოს ყველა აეროპორტის ჯამურმა მგზავრთნაკადმა 2,489,368 მგზავრი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებმა მგზავრთნაკადის, 2020 წელთან შედარებით, +200%-იანი ზრდა, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 47.9%-იანი აღდგენა აჩვენა.

2021 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 589,098 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 145.2% შეადგინა, ხოლო 2019 წელთან აღდგენის მაჩვენებელი 49.1%-ს გაუტოლდა. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 311,014 იყო, ზრდამ კი -1,077% შეადგინა, აღდგენა 2019 წელთან - 50.8%. გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობა დაცული ტერიტორიების შემოსავლებზეც აისახა. დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლება 5,832,764 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან - 548.8%-ია, აღდგენის მაჩვენებელი კი 62.3%.

საქართველოში პანდემიის გავლენის შესამცირებლად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: კერძო სექტორის მხარდაჭერისა და ოპერირების ადაპტირების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები, კომუნიკაცია კერძო სექტორთან, რეკომენდაციების და სამომავლო ქმედებების დაგეგმვა, პროექტი „იმუშავე საქართველოდან“, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონად ნომინირებული არეებიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქეებსა და საერთაშორისო ვიზიტორებს სავალდებულო კარანტინისა და კოვიდ-სასტუმროების ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია, ჯამში 43,310 ადამიანს. აღნიშნული მომსახურება მოიცავს განთავსებას, ტრანსპორტირებას, კვებას, დასუფთავებას, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებას. ასევე, „იმუშავე საქართველოდან“ პროექტში ჩართულ კომერციულ საკარანტინე სასტუმროებთან ყოველდღიურ რეჟიმში კომუნიკაცია (აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქვეყანაში ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების აღრიცხვა, სტუმრების და დამხვედრი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მონაცემების გადაგზავნა სასაზღვრო პოლიციასთან, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება და. ა.შ).

2021 წლის მესამე კვარტალში დაინიცირდა კოვიდ-19-ის პოსტპანდემიურ პერიოდში ტურიზმის აღდგენის ტექნიკური დახმარების პაკეტი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა და დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და გაეროს მსოფლიო ტურიზის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ. პროექტის ფარგლებში, მთავარი აქცენტები გაკეთდება ეკონომიკის აღდგენაზე, მარკეტინგსა და ინსტიტუციურ განვითარებაზე. პროექტის განხორციელების მიზნით, მოხდა შესაბამისი მემორანდუმის ხელმოწერა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში UNWTO აკადემიის მიერ ჩატარდა 5 სპეციალური ტრენინგი ტურიზმის კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომელიც ორიენტირებული იყო ციფრულ მარკეტინგსა და პროდუქტების განვითარებაზე პოსტპანდემიურ პერიოდში.

ტურიზმის კერძო სექტორის მხარდაჭერისა და შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა რიგი საინფორმაციო ტურები სხვადასხვა რეგიონში, რამაც უზრუნველყო მოსახლეობის ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლება საქართველოს ტურისტული დანიშნულების ადგილების შესახებ. ასევე განხორციელდა საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიები, ქვეყნის, როგორც უსაფრთხო მასპინძელი ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციის მიმართულებით. წლის განმავლობაში ადმინისტრაციის ბაზაში არსებულ ყველა შემომყვან და გამყვან ტურისტულ კომპანიასთან, ავიაკომპანიასთან, გიდებთან, კვების და განთავსების ობიექტებთან იგზავნებოდა ყოველდღიური საინფორმაციო ხასიათის წერილები სხვადასხვა ონლაინ სემინარების, ვებინარების და კონფერენციების შესახებ. ასევე ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეები (გამოფენები, ტრენინგები, ფესტივალები, ახალი ობიექტები, საინფორმაციო ტურები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები).

2021 წელი გამორჩეული იყო შიდა ტურიზმის სტიმულირების თვალსაზრისით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა არაერთი ინფო და გასტრო ტური, რომლის მთავარი მიზანი ადგილობრივი ტურისტული რესურსების უფრო მეტად განვითარება და პოპულარიზაციაა, ასევე აღსანიშნავია ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გასტრო ტურები, რომელიც უდიდესი დაინტერესებით გამოირჩევა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების მიერ. ამის კიდევ ერთი დასტური საფრანგეთში, ქალაქ ლიონში ჩატარებული **Bocus D'Or Sirha 2021** გამოფენაა, სადაც საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, საქართველოს გასტრონომიის ასოციაციასთან ერთად მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით მონაწილეობა მიიღო. საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის უნიკალური პროდუქტები და ღვინო. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს, როგორც გასტრონომიულ კულტურას და მიეღოთ ინფორმაცია ქვეყანაზე, როგორც ტურისტულად მიმზიდველი მიმართულების შესახებ.

2021 წელს საქართველომ გაიმარჯვა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი წევრობის არჩევნებში და 4 წლის ვადით გახდა UNWTO-ს აღმასრულებელი წევრი. ასევე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო პროექტებისა და თანამშრომლობის კუთხით. დაინიცირდა GIZ-ის პროექტი საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. პროექტის მიზანს წარმოადგენს მდგრადი და კონკურენტუნარიანი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა და მათი დივერსიფიკაცია რაჭის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მოიცავს ციფრულ ტრანსფორმაციის მხარდაჭერას, შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ კურსების ორგანიზებას და რეგიონული თემატური ფესტივალების, ასევე გასტრონომიული და გაცნობითი ტურების ორგანიზების მხარდაჭერას.

2021 წელს ტურიზმის კერძო სექტორის მხარდაჭერის მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, შეიქმნა ტურიზმის მხარდამჭერი ფონდი. რომლის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ტურიზმში ჩართულ კომპანიებს ციფრული მარკეტინგული კამპანიების განხორციელებაში. ინიციატივის ფარგლებში, კონკურსისა და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის სექტორში მომუშავე კომპანიები.

2021 წელს თბილისი გახდა „Nordic Tourism Collective - სკანდინავიის ქვეყნების ტურისტული გაერთიანების" წევრი. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ტურისტული პროდუქტების შესახებ ცნობადობის გაზრდა და თემატური შეხვედრების ორგანიზება წარმოადგენს.

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში

2021 წელს მიუხედავად პანდემიის ეფექტის გავლენისა საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია სტაბილურად უბრუნდება ძველ მაჩვენებელს. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,881,271 (+7.7%) შეადგინა, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობას 1,721,242 (+13.7%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) 160,029 (-31.5%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებიდან 1,577,463 (+45.1%) ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 143,779 (-66.3%) ერთდღიანი ვიზიტი.

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი წლის განმავლობაში მესამე კვარტალში დაფიქსირდა: აგვისტო 308,674 (წილი 16.4%), ივლისი 259,641 (13.8%) და სექტემბერი 247,105 (13.1%). ამ პერიოდში ვიზიტების რაოდენობამ 2021 წელს დაფიქსირებული მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 43.3% შეადგინა. ყველაზე ნაკლები ვიზიტით კი იანვარი 34,909 (1.9%), თებერვალი 42,075 (2.2%) და მარტი 57,728 (3.1%) გამოირჩა.

საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მეზობელი ქვეყნების და სხვა ქვეყნების წილი ერთმანეთს გაუტოლდა. 50.1% (786,889) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, ხოლო 49.9% (782,794) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით თურქეთია 326,494.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 877,158 (51%) საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის სახმელეთო ტრანსპორტი 826,355 (48%). სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 10,879 (0.6%) და 6,850 (0.4%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარი იყო თბილისის აეროპორტი 568,149 (33%). მას მოსდევს სარფი 253,859 (14.7%), ბათუმის აეროპორტი 221,853 (12.9%), ყაზბეგი 220,788 (12.8%) და სადახლო 125,047 (7.3%). საერთაშორისო ვიზიტების უდიდესი წილი სწორედ ამ ხუთი საზღვრიდან ფიქსირდება, რაც მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 80.7%-ია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 139,157 (+96.7%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი პოლონეთიდან 30,988 (+189.9%), გერმანიიდან 21,194 (+127%) და საფრანგეთიდან 10,646 (+103.9%) განხორციელდა.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა მამაკაცების მიერ განხორციელდა 1,186,831 (69%), ქალების ვიზიტებს კი 534,411 (31%) შეადგენდა. ყველაზე მეტი ვიზიტი 31-50 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა განახორციელეს 885,473 (51.4%). მას მოსდევს 51-70 ასაკობრივი ჯგუფი 428,309 (24.9%) და 15-30 ასაკობრივი სეგმენტი 385,563 (22.4%). ყველაზე მცირე ასაკობრივი ჯგუფი 71+ მხოლოდ ვიზიტების 1.3%-ს აერთიანებს, რაც რაოდენობრივად 21,897 ვიზიტია.

საერთაშორისო ვიზიტების წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში გაიზარდა, ტურისტული ვიზიტების წილი კი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში. საერთაშორისო ვიზიტების წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში 86.6%-დან 91.5%-მდე გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 15 ნაკლები ასაკის ვიზიტების შემცირებით. ასევე ტურისტული ვიზიტების წილი 71.8%-დან 91.6%-მდე გაზრდა.

საერთაშორისო ვიზიტებში მეზობელი ქვეყნების და სხვა ქვეყნების წილი გათანაბრდა. საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მეზობელი ქვეყნების წილი 80.1%-დან 50.1%-მდე შემცირდა. წილობრივი შემცირება პირველად დაფიქსირდა ბოლო წლების განმავლობაში. შესაბამისად არამეზობელი ქვეყნების წილი 19.9%-დან 49.9%-მდე გაიზარდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტურიზმის სტრატეგიითაც არის გათვალისწინებული.

ტოპ 15 ქვეყნის სტრუქტურა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) შეიცვალა, ასევე აღინიშნება პოზიციების მნიშვნელოვანი გადანაცვლებები. მეზობელ ქვეყნებს შორის თურქეთი ვიზიტების რაოდენობით ინარჩუნებს პირველ ადგილს. რუსეთი დაწინაურდა (+2) პოზიციით და მეორე ადგილი დაიკავა. სომხეთმა (0) ძველი პოზიცია შეინარჩუნა და მესამე ადგილზე იმყოფება, ხოლო აზერბაიჯანმა (-4) მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა. დაწინაურებულ ქვეყნებს შორის იყო უკრაინა (+1) პოზიციით, რომელმაც აზერბაიჯანი ჩაანაცვლა და მეოთხე ადგილი დაიკავა, შემდეგ მოდის ისრაელი (+1), ყაზახეთი (+3) და ინდოეთი (+1). პოზიციები დაკარგეს ირანმა (-8), უზბეკეთმა (-2), გერმანიამ (-1). პოზიციები კი შეინარჩუნეს ბელარუსმა, პოლონეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ტოპ 15-ში ადგილი დაკარგა ფილიპინებმა, რომელიც ჩაანაცვლა საუდის არაბეთმა და დაიკავა მერვე ადგილი.

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში საჰაერო ვიზიტების წილი გაიზარდა, თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პუნქტმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო შარშანდელი ლიდერი წითელი ხიდი მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა. საჰაერო ვიზიტების წილი 18%-დან 51%-მდე გაიზარდა, სახმელეთო ვიზიტების კლების ხარჯზე, რომელიც 80%-დან 48%-მდე შემცირდა. ყველაზე მეტი

ვიზიტი თბილისის აეროპორტის (წილი 33%) საშუალებით განხორციელდა, რომელმაც წითელი ხიდი ჩაანაცვლა.

ასაკობრივი სეგმენტის წილობრივი გადანაწილება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. პირველ ადგილზე 31-50 ასაკობრივი სეგმენტია, რომლის წილიც 51%-ია, მას მოსდევს 51-70 ასაკობრივი ჯგუფი (წილი 25%) და 15-30 ასაკობრივი სეგმენტი (წილი 22%).

მამაკაცების წილი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში წინა წელთან შედარებით შემცირდა. მამაკაცების წილმა 69% შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 77%-შეადგინა. ქალების წილი შესაბამისად 23%-დან 31%-მდე გაიზარდა.

არამეზობელი ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ვიზიტების კატეგორიაში ხვდება. მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 84.1% ტურისტული ვიზიტი (662,011), იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 97.9%-ს (766,011) აღწევს.

ძირითადი ინფორმაცია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები
მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად მოვიხსენიებთ. არსებობს მოგზაურთა ორი ტიპი: ვიზიტორები და სხვა მოგზაურები.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს, საერთაშორისო ვიზიტს ვუწოდებთ.

სხვა მოგზაურები (არატურისტული) - მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

ყველა მოგზაურთა ტიპი, რომლებიც ტურიზმში არიან ჩართულები ვიზიტორებს წარმოადგენენ. ამიტომ ვიზიტორი ტურიზმის სტატისტიკის მთლიანი სისტემის მთავარ კონცეფციად ითვლება. მოცემულ თავში სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით კეთდება ქვეყნების, საზღვრების, საზღვრის ტიპების, სქესის და ასაკის ტენდენციების ანალიზი. ტერმინი ვიზიტორი თავის მხრივ იყოფა ორ კატეგორიად: ტურისტები (ვიზიტორები ღამისთევით) და ერთდღიანი ვიზიტორები.

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე:
www.gnta.ge
საერთაშორისო მოგზაურები რეზიდენტობის მიხედვით (xsl) - https://bit.ly/3wc2zWh

საერთაშორისო მოგზაურების კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2020	2021	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	1,747,110	1,881,271	134,161	7.7%	100.0%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	1,513,421	1,721,242	207,821	13.7%	91.5%
ტურისტული ვიზიტი	1,087,093	1,577,463	490,370	45.1%	91.6%
ერთდღიანი ვიზიტი	426,328	143,779	-282,549	-66.3%	8.4%
სხვა (არატურისტული)	233,689	160,029	-73,660	-31.5%	8.5%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2020	2021	ცვლილება	ცვლილება%	წილი %
ჯამი	⬇	1,513,421	1,721,242	207,821	13.7%	100%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
თბილისის აეროპორტი	.....	202,632	568,149	365,517	180.4%	33.0%
სარფი	თურქეთი	278,477	253,859	-24,618	-8.8%	14.7%
ბათუმის აეროპორტი	.....	19,868	221,853	201,985	1016.6%	12.9%
ყაზბეგი	რუსეთი	273,553	220,788	-52,765	-19.3%	12.8%
სადახლო	სომხეთი	184,388	125,047	-59,341	-32.2%	7.3%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	301,033	111,744	-189,289	-62.9%	6.5%
ქუთაისის აეროპორტი	.....	46,693	87,156	40,463	86.7%	5.1%
ვალე	თურქეთი	35,338	33,495	-1,843	-5.2%	1.9%
კარწახი	თურქეთი	29,911	28,511	-1,400	-4.7%	1.7%
ნინოწმინდა	სომხეთი	48,244	26,808	-21,436	-44.4%	1.6%
გუგუთი	სომხეთი	12,701	17,791	5,090	40.1%	1.0%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	2,360	8,486	6,126	259.6%	0.5%
ცოდნა	აზერბაიჯანი	39,838	8,312	-31,526	-79.1%	0.5%
ბათუმის პორტი	.....	7,534	3,626	-3,908	-51.9%	0.2%
ფოთის პორტი	.....	5,271	3,164	-2,107	-40.0%	0.2%
კარწახის რკინიგზა	.....	937	1,246	309	33.0%	0.1%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	9,343	1,147	-8,196	-87.7%	0.1%
ყულევის პორტი	.....	524	60	-464	-88.5%	0.0%
ახკერპი	სომხეთი	11	0	-11	-100.0%	0.0%
ვახტანგისი	აზერბაიჯანი	14,691	0	-14,691	-100.0%	0.0%
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	74	0	-74	-100%	0.0%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2020	2021	ცვლილება	ცვლილება %
1	თურქეთი	335,580	326,494	-9,086	-2.7%
2	რუსეთი	208,677	212,979	4,302	2.1%
3	სომხეთი	260,965	164,698	-96,267	-36.9%
4	უკრაინა	42,414	144,901	102,487	241.6%
5	ისრაელი	25,731	100,686	74,955	291.3%
6	აზერბაიჯანი	295,132	82,718	-212,414	-72.0%
7	ყაზახეთი	13,779	66,787	53,008	384.7%
8	საუდის არაბეთი	4,960	63,437	58,477	1179.0%
9	ბელარუსი	14,340	53,698	39,358	274.5%
10	უზბეკეთი	14,410	36,384	21,974	152.5%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2020	2021	ცვლილება	ცვლილება %
1	თურქეთი	257,671	284,909	27,238	10.6%
2	რუსეთი	154,881	191,005	36,124	23.3%
3	უკრაინა	38,690	142,456	103,766	268.2%
4	სომხეთი	137,205	110,632	-26,573	-19.4%
5	ისრაელი	25,491	99,351	73,860	289.7%
6	აზერბაიჯანი	152,025	75,465	-76,560	-50.4%
7	ყაზახეთი	12,110	63,817	51,707	427.0%
8	საუდის არაბეთი	4,887	62,971	58,084	1188.5%
9	ბელარუსი	12,361	51,798	39,437	319.0%
10	უზბეკეთი	13,713	35,537	21,824	159.1%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შიდა ვიზიტების მახასიათებლები

21%
თბილისი – ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

8%
ბათუმი

6%
ქუთაისი

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 16.9 მილიონი ვიზიტი განახორციელეს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +35.8% დაფიქსირდა. ყველაზე მეტი ვიზიტი 41.8% თბილისიდან დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 2.9 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 46.9% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. მოგზაურობის მთავარ მიზანს მეორე სახლის მონახულება ვიზიტების 15.9%-სთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით 13.2%-ით იყო წარმოდგენილი შოპინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები. რაც შეეხება მკურნალობა/გაჯანსაღების მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 8.9% შეადგინა, ხოლო დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით კი ვიზიტების 8.1% განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 3.5%

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 21.2% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 7.7% და ქუთაისი 5.8%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3.1%, მცხეთა 2.9%, გორი 1.6%, ხაშური 1.6% და ზუგდიდი 1.4%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 17.1%, აჭარა 11.6% და კახეთი 8.4% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ 35.5 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 46.4% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 41.5% - საკუთარ სახლში, ხოლო 4.3% კი სასტუმრო სახლი, ჰოსტელში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 2.7 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 160.1 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 35% საყიდლებზე დაფიქსირდა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განახორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთესად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები (xsl) - https://bit.ly/3vTX1iu

შიდა ვიზიტორების მახასიათებლების ანგარიში https://bit.ly/3vSJXdk

ასაკობრივი პროფილი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის დანახარჯები

კომპონენტები	მთლიანი ხარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
შოპინგი	950,132	35%
საკვები და სასმელი	657,154	24.2%
ტრანსპორტი	561,045	20.7%
განთავსების საშუალება	126,797	4.7%
რეკრეაცია, კულტურული აქტივობები	18,285	0.7%
სხვა	399,144	14.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეგიონი	ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა
ქ. თბილისი	1.5
აჭარა	2.1
გურია	3.2
იმერეთი	2.3
კახეთი	2.4
მცხეთა - მთიანეთი	1.4
რაჭა - ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	5.5
სამეგრელო - ზემო სვანეთი	2.7
სამცხე - ჯავახეთი	3.7
ქვემო ქართლი	1.3
შიდა ქართლი	1.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონახულებული რეგიონები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2021 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +21.7%) და ხელი შეუწყო 289 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან.(Economic Impact of Travel and Tourism 2022, Annual Update, WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი მოგზაურების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე და მისი შემცირება შესაბამისად აისახა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის საგადამხდელო ბალანსზე. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს არარეზიდენტების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს. 2021 წელს შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 1.24 მილიარდი დოლარი (ზრდა +129.8%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ მოგზაურობაზე 184.7 მილიონი დოლარი (ზრდა +2.4%). შედეგად საერთაშორისო მოგზაურობის ბალანსი საქართველოში 1.03 მილიარდი დოლარით (ზრდა +193.5%) განისაზღვრა. აღნიშნული ზრდა აისახა საერთაშორისო მოგზაურობის წილზე სერვისის ექსპორტში, რომელიც 34.3%-დან 48.9%-მდე გაიზარდა.

2021 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 2.26 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +104.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაუტოლდა 2019 წლის მონაცემებს და აღდგენის მაჩვენებელმა 84.1% შეადგინა.

ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წილი ეკონომიკაში

2021 წელს წინასწარი მონაცემებით მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.38 მილიარდ ლარამდე შეადგინა, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +32.3%). შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 5.9%-დან 6.4%-მდე გაიზარდა. 2021 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტრანსპორტში (წილი 53%), განთავსების საშუალებებში (წილი 25%), კვების საშუალებებში (წილი 21%) და ტურისტულ კომპანიებში (წილი 1%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

- ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
- ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.
- უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.
- უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.
- უცხოური ტურიზმის ბალანსი.
- საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **www.geostat.ge**, საქართველოს ეროვნული ბანკისა **www.nbg.gov.ge** და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე: **www.gnta.ge**



ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2018 - 2021 (ათასი ლარი)

	2018	2019	2020	2021	ცვლილება % 2020 - 2021
სულ	3,015,937	3,629,700	2,547,504	3,384,888	32.3%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
განთავსების ობიექტები	1,185,401	1,559,500	773,658	1,017,847	59.9%
კვების ობიექტები	614,601	663,500	547,211	706,523	24.4%
ტრანსპორტი	1,095,931	1,252,300	1,200,273	1,617,217	22.3%
ტურისტული კომპანიები	120,004	154,400	26,362	43,301	37.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2018 - 2021 (ათასი აშშ დოლარი)

	2018	2019	2020	2021	ცვლილება % 2020 - 2021
სულ	3,222,074	3,268,654	541,686	1,244,988	+129.8%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
I კვ.	550,730	578,442	427,699	53,551	-87.5%
II კვ.	809,969	877,626	28,842	246,123	753.3%
III კვ.	1,210,561	1,126,771	42,534	565,981	1,230.7%
IV კვ.	650,814	685,814	42,611	379,333	790.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საავიაციო ბაზარი

2021 წელი, მიუხედავად კოვიდ პანდემიის გავლენისა, საავიაციო ბაზრის მიმართულებით მნიშვნელოვნად დატვირთული იყო. როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში პანდემიის გამო საკმაოდ მკაცრი და რთული შეზღუდვები მოქმედებდა, მიუხედავად ამისა, წინა წელთან შედარებით მკვეთრი ზრდა შეინიშნება, როგორც განხორციელებული რეისების, ასევე მგზავრთნაკადის ოდენობაზე.

2021 წელს საქართველოს ყველა აეროპორტის ჯამურმა მგზავრთნაკადმა 2,489,368 მგზავრი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებმა მგზავრთნაკადის 2020 წელთან შედარებით +200%-იანი ზრდა, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 47.9%-იანი აღდგენა აჩვენა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საავიაციო ინდუსტრიაში აღდგენის ყველაზე სწრაფი დინამიკით საქართველო, Eurocontrol მიერ, მსოფლიოს წამყვან ქვეყანად დასახელდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, ჯამურად 2021 წელს Turkish Airlines არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა გადაიყვანა. 2021 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 274,404 (11.5%) შეადგინა. Wizz Air Hungary არის სიდიდით მეორე კომპანია 202,286 (8.4%) მგზავრით. მგზავრების რაოდენობით მას მოსდევს Skyup Airlines — 192,921 (8.1%); Pegasus Airlines — 191,794 (8%); Belavia — 188,438 (7.9%); Fly Dubai — 135,059 (5.6%); Flynas — 124,717 (5.2%); Israir Airlines — 98,098 (4.1%); Georgian Airways — 72,923 (3%) და Air Arabia — 72,344 (3%).

2021 წლის მიხედვით საქართველოში ფრენებს ახორციელებენ შემდეგი დაბალ ბიუჯეტიანი ავიაკომპანიები: Pegasus Airlines, Air Arabia, Air Arabia – Abu Dhabi, Air Baltic, Buta Airways, Bees Airlines, Air Cairo, Flynas, FlyArystan, Jazzira Airways, Fly Dubai, Skyup Airlines, Ukraine International Airlines, Wizz Air Hungary, Wizz Air Abu Dhabi და Eurowings.

2021 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე შვიდი ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა, მათ შორისაა: Eurowings, Bees Airlines, Fly Arystan, Airmanas, Air Arabia Abu Dhabi, Wizz Air Abu Dhabi, Smartlynx Airlines. ასევე აღსანიშნავია ახალი მიმართულებებით დამატებული რეისები: Eurowings-მა დაიწყო ფრენები თბილისი-დუსელდორფის მიმართულებით, Bees Airlines-მა თბილისი-კიევის და ბათუმი კიევის მიმართულებით, Air Arabia Abu Dhabi-მ თბილისი-აბუ დაბის მიმართულებით, LOT Polish Airlines-მა ბათუმი-ვარშავის მიმართულებით, Air Astana-მ ბათუმი-ალმათის მიმართლებით, Smartlynx Airlines-მა ბათუმი-ტალინის მიმართულებით, Airmanas-მა ბათუმი-ბიშკეკის მიმართულებით, Ukraine International Airlines-მა ბათუმი-კიევის მიმართულებით, Flyarystan-მა ქუთაისი-ნურ სულთანის, ქუთაისი-აკტაუს, ქუთაისი-ატირაუს და ქუთაისი-შიმკენტის მიმართულებით და Belavia-მ ქუთაისი-მინსკის მიმართულებით.

საქართველოში 36 საერთაშორისო და 2 ქართული ავიაკომპანია სთავაზობდა მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან, ხოლო ერთი ქართული ავიაკომპანია (Ak-Air Georgia) შიდა ფრენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

+110.5 %

15,014
რეისები

+200 %

2,489,368
მგზავრები

ძირითადი ინფორმაცია
საქართველოში სამი საერთაშორისო და სამი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმოქმედო აეროდრომების, ვერტოდრომებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლების შესწავლა და შეფასება მათი სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა წელიწადში 6.1 და 1.5 მილიონი მგზავრია შესაბამისად. აღსანიშნავია ქუთაისის აეროპორტის გაფართოება, ქუთაისის აეროპორტი საქართველოში სიდიდით მეორე საერთაშორისო აეროპორტია, რომელიც საშუალოდ წლიურად უპრეცედენტო - 35%-იანი ზრდით გამოირჩევა. განახლებული აეროპორტის ტერმინალის ფართობი დაახლოებით 6-ჯერ აღემატება ძველი ტერმინალის ფართობს და ჯამურად 30,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. აეროპორტს 7 გასასვლელი აქვს და მისი წლიური გამტარუნარიანობა, მკვეთრად გამოხატული პიკური დატვირთვების პირობებშიც კი 2,500,000 მგზავრზე მეტი იქნება. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50,000 და 50,000 მგზავრია წელიწადში.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი და ამბროლაურის აეროპორტი.

ავიაციის სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდზე: https://gcaa.ge/

ავიაციის სტატისტიკა
(xsl) - https://bit.ly/3zOzYXo

მგზავრთნაკადის გადანაწილება თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ავიაკომპანიების წილობრივი განაწილება რეგულარული ფრენების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო





განთავსება

STR გლობალის თანახმად, 2021 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 45.7% იყო, ზრდამ წინა წელთან შედარებით +106.8% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა ივლისში 73.1%, აგვისტოსა 65% და ივნისში 58.4% დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი იანვარში 16.1%, თებერვალსა 18.8% და მარტში 23.9%. STR გლობალის მონაცემები სამი კატეგორიის ანალიზის საშუალებას იძლევა: თბილისი, ბათუმი და დანარჩენი საქართველო. მათგან დატვირთვის კოეფიციენტით ლიდერობს ბათუმი 55.4%, შემდეგ მოდის დანარჩენი საქართველო 50.2% და თბილისი 41%.

დატვირთვის კოეფიციენტი ბრენდირებულ სასტუმროებში



წყარო: STR

დატვირთვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგი ბრენდის სასტუმროების გათვალისწინებით: Crowne Plaza Borjomi, Divan Suites Batumi, Golden Tulip Borjomi, JRW Welmond Hotel Spa Casino, Ambassadori Tbilisi Hotel, Citadines City Centre Tbilisi, Courtyard Tbilisi, Ibis Styles Tbilisi Center, Mercure Tbilisi Old Town, Hotel Citrus, Marriott Tbilisi Hotel, Millennium The Biltmore Tbilisi, Radisson Blu Iveria Hotel Tbilisi, ROOMS HOTEL Tbilisi, ibis Tbilisi Stadium, Ramada Encore Tbilisi, Best Western Tbilisi Art Hotel, Holiday Inn Tbilisi, Best Western Tbilisi City Center, Hotel Hotels & Preference Hualing Tbilisi, Wyndham Batumi, Holiday Inn Telavi, Radisson Collection Hotel Tsinandali Estate Georgia, Paragraph Resort & Spa Shekvetili Autograph Collection, Rooms Hotel Kazbegi, Radisson Blu Hotel Batumi, Sheraton Hotel Batumi, The Grand Gloria Hotel, Hilton Batumi, Hotel Boulevard Batumi, Georgia Palace Hotel & Spa, Golden Tulip Borjomi, MOXY Tbilisi, Iota Hotel Tbilisi, Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace, Wyndham Grand Tbilisi, Radius Hotel Tbilisi, Stamba Hotel, ibis Tbilisi Stadium, Hilton Garden Inn Tbilisi Chavchavadze, Bellevue Residence Batumi, Le Meridien Batumi.



დაცული ტერიტორიები

2021 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 589,098 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 145.2% შეადგინა. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 311,014 იყო, ზრდამ კი 1,077%. უცხოელ ვიზიტორებს შორის სჭარბობდნენ: უკრაინელები (წილი 13.7%), ებრაელები (13.3%), რუსები (12.1%), ბელორუსები (11.3%) და ლატვიელები (9.5%).

ყველაზე მეტი ვიზიტორი მარტვილის კანიონს - 116,420 (19.8%), პრომეთეს მღვიმეს - 104,112 (17.7%) და ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 67,419 (11.4%) ესტუმრა. ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორი კი პრომეთეს მღვიმეს - 82,410 (26.5%), მარტვილის კანიონს - 81,436 (26.2%) და ოკაცეს კანიონს - 38,746 (12.5%) ესტუმრა.

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლება 5,832,764 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან 548.8%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 2,365,460 ლარი, მარტვილის კანიონი - 1,850,180 ლარი, ოკაცეს კანიონი - 650,076 ლარი და სათაფლია - 351,428 ლარი.

უცხოელი ვიზიტორების წილი დაცულ ტერიტორიებზე 11%-დან 53%-მდე გაიზარდა. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ +1,077% შეადგინა, მაშინ როცა ქართველი ვიზიტორების ზრდამ +30% შეადგინა. შედეგად უცხოელ ვიზიტორთა წილი დაცული ტერიტორიების სტუმრების რაოდენობაში გაიზარდა.

ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობრივი ზრდა მარტვილის კანიონის, პრომეთეს მღვიმის და ოკაცის კანიონის შემთხვევაში დაფიქსირდა. მარტვლილის კანიონში ვიზიტორების ზრდამ +94,931, პრომეთეს მღვიმეში +84,767, ხოლო ოკაცეს კანიონის შემთხვევაში +40,438 შეადგინა. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობრივი ზრდა ყველაზე მეტად ასევე მარტვილის კანიონში +78,035, პრომეთეს მღვიმესა +75,320 და ოკაცეს კანიონში +36,464 ფიქსირდება, ხოლო ქართველი ვიზიტორების ზრდა მარტვილის კანიონში +16,896, ყაზბეგის ეროვნულ პარკსა +13,912 და სათაფლიაში +9,918.

დაცული ტერიტორიების მიხედვით შემოსავალში ყველაზე დიდი ზრდა პრომეთეს მღვიმეს ჰქონდა. დაცული ტერიტორიების შემოსავლებში მთლიანმა ზრდამ 4,933,688 ლარი შეადგინა. აქედან პრომეთეს მღვიმეზე +2,074,871 (წვლილი ზრდაში 42.1%), მარტვილის კანიონზე +1,594,536 (წვლილი ზრდაში 32.3%) და ოკაცეს კანიონზე +558,319 (წვლილი ზრდაში 11.3%) მოდის.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასითებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ, ერთ-ერთი კი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა. საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არა შემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია ტურისტული მიზნებითაც.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 13 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 24 აღკვეთილი და 3 დაცული ლანდშაფტი; საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) ხუთი სხვადასხვა კატეგორიის 94 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 11.37% (792,244 ჰა) უკავია.

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მის საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცული ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ) ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).

აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების სტატისტიკა მოწოდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე:
http://www.apa.gov.ge/ge/
დაცული ტერიტორიების სტატისტიკა
(xsl) - https://bit.ly/3QzrSbX

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	2018	2019	2020	2021	ცვლილება % 2020-2021
სულ	1,108,503	1,199,011	240,268	589,098	145.2%
უცხოელები	529,023	611,989	26,432	311,014	1,077%
ქართველები	579,480	587,022	213,836	278,084	30%

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

შემოსავლების სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (ლარი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ტურისტული ტერმინები

აგენტი - პირი ან კომპანია (შემომყვანი ტუროპერატორი, ბითუმად ან საცალოდ მოვაჭრე), რომელიც ყიდის პროდუქტს მფლობელის ნაცვლად.

ბიზნეს ვიზიტორი - არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობაა.

ბიზნეს ტურიზმი - აერთიანებს ვიზიტორებს, რომლებიც მოგზაურობენ ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ვორქშოფებისთვის, სიმპოზიუმებისთვის, გამოფენებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის.

გამყვანი ტურიზმი - რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო ტურისტული ადგილისკენ.

გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე მეტია.

დისტრიბუცია - არხები ან ადგილები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი პროდუქტს შეისყიდის.

ერთდღიანი ვიზიტორი - ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეროვნული ტურიზმი - ეროვნული ტურიზმი მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ.

კვლევა - პროცესი, რომლის დროსაც შერჩევის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკური მეთოდოლოგიის სისტემატური გამოყენების გზით ხდება პოპულაციის მახასიათებლების დადგენა.

მეგობრების და ნათესავების მონახულება (VFR) - ვიზიტორები, რომელთა მოგზაურობის ძირითადი მიზანია მეგობრების და ნათესავების მონახულება.

მოკლე დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე ნაკლებია.

ონლაინ დისტრიბუცია - ინტერნეტისა და ვებ-გვერდების გამოყენება მომხმარებლამდე პროდუქტის მიწოდებისა და პრომოუშენისათვის.

ოპერატორი - ტურისტული პროდუქტის მფლობელი ან მენეჯერი.

რეზიდენტობის ქვეყანა - შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ სადაა შინამეურნეობის წევრების ეკონომიკური ინტერესების ცენტრი. თუ ინდივიდი ცხოვრობს ერთ წელზე მეტი დროით ქვეყანაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ეს ქვეყანაა, (სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს) ის ითვლება აღნიშნული ქვეყნის რეზიდენტად.

საერთაშორისო ვიზიტორი - 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით.

საერთაშორისო მოგზაური - ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

საერთაშორისო ტურიზმი - მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ როგორც შიდა ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

საკომისიო - გადასახადი, რომელსაც უხდიან აგენტს პროდუქტის ბაზარზე მიწოდებისთვის, დისტრიბუციის და გაყიდვის სანაცვლოდ.

სრულიად დამოუკიდებელი მოგზაური - მოგზაურები, რომლებიც თვითონ გეგმავენ თავიანთ მოგზაურობას. არსებობს დამოუკიდებელი მოგზაურობის სხვადასხვა ტიპები: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ზურგჩანთით მოგზაურობა და ნაწილობრივი პაკეტით მოგზაურობა.

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა - დამოუკიდებელი ბიზნესების გლობალური ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოძებნოს და დაჯავშნოს მოგზაურობა.

ტურისტი - ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.

ტურისტული ადგილი - ტურისტული პროდუქტისა და ადგილის ერთობლიობა.

ტურისტული დანახარჯები - აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურებაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გადასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი - ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი არის მიზანი, რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც ტურისტული ვიზიტი არ შედგებოდა.

ტურისტული ინდუსტრია - ყველა ბიზნესი, რომელიც ჩართულია ტურიზმში, სადისტრიბუციო აგენტებისა და პროდუქტის მიმწოდებლის ჩათვლით.

შემომყვანი ტურიზმი - საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში, ასევე ცნობილია როგორც ექსპორტ-ტურიზმი.

შემომყვანი ტუროპერატორი (ITO) - დამაკავშირებელი რგოლი ტურისტული პროდუქტის მფლობელსა და უცხოურ კომპანიას შორის. ის ქმნის ტურისტულ პაკეტს და ყიდის მას პირდაპირ მომხმარებელზე ან უცხოურ კომპანიაზე.

შერჩევა - პოპულაციის ქვესიმრავლე, სადაც ელემენტების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ალბათობით.

შეხვედრისა და წახალისების მგეგმავი - ორგანიზებას უწევს შეხვედრის, წახალისების და ღონისძიების ყველა ასპექტს.

შიდა ტურიზმი - რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობა მოცემული ქვეყნის შიგნით.

ჩვეული გარემო - ჩვეული გარემო, ტურიზმში ძირითადი კონცეფციაა და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი აწარმოებს რეგულარულ ცხოვრების რუტინას.

ჩვეული რეზიდენტობის ადგილი - ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი, სადაც ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

წამახალისებელი მოგზაურობა - წამახალისებელი მოგზაურობა არის მგზავრობა, რომელსაც პრიზის ან ჯილდოს სახით სთავაზობენ კარგი შედეგების მქონე თანამშრომლებს ან გაყიდვების აგენტებს.

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ

სამმართველოს უფროსის მ/შ: ანა არაბული
a.arabuli@gnta.ge

სპეციალისტი: გიორგი ყაველაშვილი
g.kavelashvili@gnta.ge

ტელ: +995 322 43 69 99 (1820)
infostatistics@gnta.ge

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

WWW.APA.GOV.GE
დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

დაცული ტერიტორიების სააგენტო

GCAA GEORGIAN CIVIL AVIATION AGENCY

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭოველიძის ქ. 10ა, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფაქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@moesd.gov.ge
www.economy.ge

Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge

2021

0.2654215
0.25468132
0.3548621
0.89521453
0.332548
0.3548621
0.332548